2018 წლის ანგარიშის დანართი

საავტომობილო გზების რეაბილიტაცია

2018 წელს გათვალისწინებული იყო 35 დასახელების გზაზე, საერთო სიგრძით 72.529 კმ, ა/ბეტონის საფარის მოწყობა და 4 გზის 5.110 კმ, მშენებლობა-რეაბილიტაცია

32 გზაზე (63.329 კმ) დასრულდა ასფალტობეტონის საფარის დაგება, ნაწილობრივ შესრულდა ჭოროხის გზაზე ა/ბეტონის საფარის დაგება (მახოს ხიდი-გონიოს ხიდი)- (3.500 კმ), სადაც დარჩენილია მე-3 ეტაპის სამუშაოები (2,200კმ), რაც გამოწვეულია მიწის გამოსყიდვის პროცესის გაჭიანურების გამო. 2-გზაზე ჩაისუბანი-ჭურკვეიძეები-2.200 კმ, და ალამბარი-ზენითი-4.800 კმ სამუშაოები დასრულდება 2019 წლის იანვარში. დასრულდა 3-გზის რეაბილიტაცია (3.790 კმ), ხოლო კურორტ გოდერძის შიდა (1320 გრძ.მ.დან შესრულებულია 380მ.)- ახალი საავტომობილო გზის მშენებლობა შეწყდა მიწის გამოსყიდვის პროცესის დაგვიანების გამო.

საავტომობილო გზების რეაბილიტაციაზე 2018 წელს სულ დაგეგმილი 36 326 985 ლარიდან ათვისებულია 30 967 787 ლარი, ანუ გეგმის 85,13 %.

ხელოვნური ნაგებობების მშენებლობა, რეაბილიტაცია

2018 წელს დაგეგმილი იყო 287 ხელოვნური ნაგებობის მშენებლობა. აქედან 18 ახალი ხიდის მშენებლობა, 3 ხიდის რეაბილიტაცია, 230 საყრდენი კედლის, 10 დამცავი ზღუდარისა და 26 რკინა-ბეტონის კიუვეტების მშენებლობა-მოწყობა.

დასრულდა 18 ახალი ხიდის მშენებლობა და 3 ხიდის რეაბილიტაცია, დასრულდა 228 საყრდენი კედელის, 10 დამცავი ზღუდარისა და 26 რკინა-ბეტონის კიუვეტების მშენებლობა-მოწყობა. საყრდენი კედლის მშენებლობა ს/გზებზე ქვედა ყოროლისთავი-მაჭუტაძეები და ზედა ყოროლისთავი-შუა ყოროლისთავი-ფაღავები შეწყდა მოსახლეობის მხრიდან წინააღმდეგობის გამო.

ხელოვნური ნაგებობების მშენებლობაზე დაგეგმილი 7 799 194 ლარიდან ათვისებული იქნა 6 887 741 ლარი, ანუ დაგეგმილი მოცულობის 88,31 %.

სამელორაციო სისტემების რეაბილიტაცია

2018 წელს გათვალისწინებული 15 სარწყავ არხს (60,430 კმ) რეკონსტრუქცია სრულად განხორციელდა.

სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაციაზე გამოყოფილი 1 031 048 ლარიდან, ათვისებული იქნა 990 265 ლარი, ანუ გამოყოფილი თანხის 96,04 %.

საგზაო ტექნიკის შეძენა

2018 წელს გათვალისწინებული 10 ერთეული საგზაო ტექნიკიდან ხელშეკრულება გაფორმდა 3 ერთეული ბულდოზერის მოწოდებაზე, მოწოდების ვადა განისაზღვრა 2019 წლის თებერვლის თვე.

ტექნიკის შეძენაზე გამოყოფილი 1 685 000 ლარიდან ათვისებული იქნა 344 880 ლარი, ანუ 20,47%.

საგზაო და სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა

2018 წელს მოვლა-შენახვითი ღონისძიებების ჩასატარებლად შეძენილია 1 336 054 ლარის საწვავი და საპოხი მასალები, 1 135 131 ლარის ავტომობილებისა და საგზაო ტექნიკის მიმდინარე რემონტის სათადარიგო ნაწილები, მცირეფასიანი ინსტრუმენტები და ხელსაწყოები. 11 688 ლარი დაიხარჯა ავტომანქანების დაზღვევისათვის.

დეპარტამენტის საჭიროებიდან გამომდინარე დაქირავებული ტექნიკით შესრულებულია 123 250 ლარის სამუშაოები. საავტომობილო გზების მონაკვეთებზე ბეტონის საფარის მოწყობისათვის შეძენილია 5 709 441 ლარის მონოლითური ბეტონი და ინერტული მასალები. ასფალტობეტონის საფარის ორმულ შეკეთებაზე შესრულებულია 674 821 ლარის სამუშაოები. შესრულდა 254500 ლარის ბურღვა-აფეთქებითი სამუშაოები. საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემებისათვის შესყიდული იქნა 283 800 ლარის ლითონისა და პლასტმასის მილები, საგზაო ნიშნების დამზადებისათვის საჭირო მასალების შესყიდვაზე 167 838 ლარი, ავტომანქანების თანამგზავრული თვალთვალის მომსახურებაზე გადახდილია 16 775 ლარი, შეძენილია 20 000 ლარის სპეცტანსაცმელი და 48 126 ლარის სხვა სამშენებლო მასალები. მუნიციპალიტეტებში არსებული ოფისების, დამხმარე შენობების და სამეურნეო ეზოების კეთილმოწყობაზე გახარჯულია 98 761 ლარი, შემდგომ პერიოდებში ასფალტობეტონის საფარის დაგებაზე, ხელოვნური ნაგებობების მშენებლობასა და სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაციის განხორციელებაზე შესყიდულია 992 944 ლარის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

მოვლა-შენახვითი პროგრამით თოვლის საფარისაგან არაერთხელ გაიწმინდა, 940 კმ (საერთო სიგრძე) საავტომობილო გზები, საავტომობილო გზებზე დაიდგა 1284 საგზაო-საინფორმაციო ნიშანი. ჩამონაშალებისაგან გაიწმინდა 1450 კმ სიგრძის საგზაო მონაკვეთები.

2018 წელს მოვლა-შენახვის ღონისძიებაზე აყვანილი შტატგარეშე მოსამსახურეების შრომის ანაზღაურება გათვალისწინებული იყო 2 198 000 ლარის ოდენობით, ფაქტობრივად გაცემულია 2 155 455 ლარი.

საგზაო და სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მოვლა - შენახვითი ღონისძიებების განხორციელებისათვის გამოყოფილი 14 127 470 ლარიდან ათვისებულია 13 028 585 ლარი, ანუ გამოყოფილი სახსრების 92,22 %.

სულ 2018 წელს დეპარტამენტისათვის გამოყოფილი 62 350 935 ლარის საბიუჯეტო სახსრებიდან, ათვისებულია 53 386 657 ლარი, ანუ გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების 85,62%.